წალკის მუნიციპალიტეტის რიგგარეშე
საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 13

ქ. წალკა; 11.11. 2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;
საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 26 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, ავთანდილ ვანაძე, რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, ნუგზარ ჩამურლიევი, მელიტონ პაკელიანი, ლევონ მარკოსიან, ჯემალ ბერიძე, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, ალექსეი მუხსიევი, რუბენ ანესიან, მარინე ირემაძე, ჯემალ ნაკაიძე, ვუსალ უზუნალოვ, ლაერტ ტოროსიან, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, მალხაზ მგელაძე, დიანა პაქსაძე, მამია ირემაძე, ასლან მგელაძე, ჯონი ღორჯომელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ამირან საყვარელიძე;**
სხდომა დაიწყო: 11:00 სთ;
სხდომა დასრულდა: 11:55 სთ;

დღის წესრიგი:

1. განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის #გ-119.11924121001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ;

მომხსენებელი: ამირან საყვარელიძე-მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
თანამომხსენებელი: ნუგზარ ჩამურლიები - საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბერიძე-საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრი;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

მომხსენებელი: ირაკლი გიგინეიშვილი - საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომამ განიხილა:

1. განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის #გ-119.11924121001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ;

მომხსენებელმა: ამირან საყვარელიძემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;
თანამომხსენებლებმა: ნუგზარ ჩამურლიებმა საკრებულოს გააცნო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე, ჯემალ ბერიძემ საკრებულოს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე;
საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.
განკარგულება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (26 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (განკარგულება #გ-119.11924316001 თან ერთვის);

2. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზვიად გელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ცნობად მიღება.

/მომხსენებელმა: ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ სხდომის დღის წესრიგით გათვალიწინებულია საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევა რომელ თანამდებობაზეც წარდგენილია ჯემალი ბერიძის კანდიდატურა. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ფარულ კენჭისყრას და ავალებს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს მელიტონ პაკელიანს უზრუნველყოს კომისიის თავმჯდომარის არჩევნების პროცედურების ჩატარება და შედეგების შეჯამება რისთვისაც აცხადებს შესვენებას 15 წუთით. არჩევნების შედეგებზე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა ეთიკის კომისიამ შეადგინა ოქმი N9 და წარუდგინა სხდომის თავმჯდომარეს რომელმაც სხდომას განუცხადა, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად დაბეჭდილი იყო 29 ბიულეტენი, ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა. აქედან მომხრე-23; წინააღმდეგი-0; ბათილი-1 და არჩეული იქნა ჯემალი ბერიძე (განკარგულება #გ-119.119243162 თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარე ი.გიგინეიშვილი